ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 13

23/06/2020

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" - ს 26–ე მუხლის პირველი პუნქტის , 35–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე–17 მუხლის მე–2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. 2020 წლის 24 ივნის 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი **დღის წესრიგით:**

1. ,,ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი 2020-2023.წ განვითარების დოკუმენტი"-ს დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლადო ჯურხაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერი

2. ხონის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ილია ყუფარაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი.

3. ხონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
მომხსენებელი: ილია ყუფარაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი.
4. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის 2019 წლის ანგარიში
მომხსენებელი: ირაკლი ჟორჟოლიანი - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
5.ხონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

6. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2019 წლის ანგარიში.

მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

7. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მომხსენებელი: მარიკა რუხაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი

8.ხონის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

მომხსენებელი: კორნელი უგრეხელეიძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის ანგარიში

მომხსენებელი: ავთანდილ კოხრეიძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი

10. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ა ნ გ ა რ ი შ ი

მომხსენებელი: ლეილა კინწურაშვილი - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი

11.„ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3 . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე